დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის
2020 წლის 18 მარტის N 02-09/37 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" აცხადებს კონკურსს სერიალის სამჯერადი საჯარო გადაცემის (სატელევიზიო ეთერის მეშვეობით) ლიცენზიის შესყიდვაზე

1. არანაკლებ სამი სერიალი - 80 (ოთხმოცი) სერია.

ლიცენზიის ღირებულება - ერთი ერთეულისთვის 1760 (ათას შვიდას სამოცი) ლარი.

კრიტერიუმები:

- მაღალ რეიტინგული, ფილმების წარმოშობის ქვეყნები : აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ესპანეთი;
- ჟანრი: მელოდრამა, დრამა, დეტექტივი;
- სერიალის ხანგრძლივობა არაუმეტეს 25-30 სერიისა;
- სერიალი, რომლის გადაღება დასრულებულია;
- სერიალი არ უნდა იყოს გაშვებული საქართველოში მოქმედ არცერთ სატელევიზიო არხზე;
- სერიალის გადაღების თარიღი 2010-2019 წ.

განმცხადებელი კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვალდებულია წარმოადგინოს:

➢ განცხადება მაუწყებლის დირექტორის (გიორგი კოხრეიძე) სახელზე, კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ქვემოთ მითითებული დოკუმენტები/მასალა.

➢ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

➢ ქართულ ენაზე, ორ ხმაში გამოხმოვანების ნიმუშები მინი სერიალისთვის. ნიმუში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური ფორმის CD დისკით ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით ან/და განთავსებული უნდა იყოს ინტერნეტ სივრცეში და კომისიას უნდა ჰქონდეს მისი ჩამოტვირთვის შესაძლებლობა(ინტერნეტ მისამართი მიეთითება განცხადებაში).

➢ პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი პროდუქციის სია, რომელიც უნდა იძლეოდეს არჩევანის გაკეთების საშუალებას. კერძოდ, თითოეულ ასარჩევ პოზიციაზე წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი სერიალი.

➢ შემოთავაზებული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების სატელევიზიო ეთერში **2020 წლის 01 მაისიდან 2021 წლის 01 მაისამდე სამჯერადი საჯარო გადაცემის** ლიცენზიის გაცემის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს აღნიშნული ლიცენზიის გაცემის უფლება მოპოვებული არ აქვს განცხადების წარმოდგენის მომენტისათვის, იგი ვალდებული იქნება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

კონკურსი მონაწილეობა შეუძლია დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

კონკურსში შესაძლებელია გამაოვლინდეს ერთზე მეტი გამარჯვებული, თუ ერთზე მეტი განმცხადებელი დააკმაყფილებს საკონკურსო პირობებს.

კონკურსში რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენისას, საკონკურსო კომისია აწარმოებს გამარჯვებულებთან მოლაპარაკებას კონკურსში მონაწილეების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის/მომსახურების შერჩევის მიზნით. პროდუქციის/მომსახურების შერჩევისას კომისია ხელმძღვანელობს მაუწყებლის ინტერესების, მათ შორის, ფინანსური რესურსის გათვალისწინებით;

განცხადების წარმოდგენის ვადები:
განცხადების მიღების დაწყების თარიღი: 2020 წლის 18 მაისი.
განცხადების მიღების დასრულების თარიღი: 2020 წლის 03 აპრილი (დღის 24:00 საათი)

კონკურსის ეტაპები:

ა) კონკურსის გამოცხადება:

ბ) გაცხადების წარდგენა:

გ) განცხადების დასაშვებობის შემოწმება:

დ) გამარჯვებულის გამოვლენა

ე)გამარჯვებულთან მოლაპარაკების წარმოება

ვ) ხელშეკრულების გაფორმება

განაცხადის წარდგენის წესი:
1.განაცხადი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ განაცხადი ან მასზე დართული დოკუმენტაცია შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, განმცხადებელი ვალდებულია კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადებაში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა სცილდებოდეს განაცხადის მიღების საერთო ვადას, წარადგინოს განაცხადის ან მასზედ ართული დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.
2. განაცხადი კომისიას წარედგინება მაუწყებლის იურიდიულ მისამართზე - ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის #41 ან ელექტრონულ ფოსტაზე konkursi@ajaratv.ge გაგზავნის გზით.
3. ელექტრონული ფორმით განაცხადის მიღების თარიღად და დროდ ითვლება მისი გაგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებულია ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ითვლება, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდა შეტყობინება, იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საკონტაქტო პირი:
ინგა გოგოლიშვილი
ტელ: 591980520